# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო


მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge


## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №60

2015 წლის 11 ივნისი,
ქ. ბათუმი

**„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ” ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134–ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ბსუ–ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შევიდეს ცვლილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134–ე დადგენილებაში, კერძოდ,

**ა) მუხლი 2–ის 2.2. პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:**

„ვ. უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ. სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა.“

**ბ) მე–3 მუხლის 3.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3.2. უცხო ენის გამოცდა (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) ჩატარდება B2 დონის მოთხოვნების შესაბამისად.“

**გ) დანართი 1 (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა) ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

| 1. კანდიდატის პირადი მონაცემები | |
|---|---|
| სახელი | |
| გვარი | |
| სქესი | |
| დაბადების ადგილი, თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) | |
| ეროვნება | |
| მოქალაქეობა | |
| ოჯახური მდგომარეობა | |
| პირადი ნომერი | |
| ფაქტობრივი მისამართი | |
| რეგისტრაციის მისამართი | |
| ელ-ფოსტა | |
| ტელ. ნომერი (სახლი) | |
| ტელ. ნომერი (სამსახური) | |
| ტელ. ნომერი (მობილური) | |
| დასაქმების სფერო (ორგანიზაციის დასახელების, წლების მითითებით) | |
| სპეციალობა | |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | |
| სწავლის პერიოდი | |
| მინიჭებული ხარისხი | |
| უცხო ენა | |
| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაცია, კონფერენცია, სიმპოზიუმი) | |
| სხვა ინფორმაცია | |

| 2. ფაკულტეტი (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ფაკულტეტი) | |
|---|---|
| 1 | ტექნოლოგიური ფაკულტეტი |
| 2 | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი |
| 3 | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 4 | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი |
| 5. | განათლების ფაკულტეტი |
| 6. | ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| 3. **სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი** (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა) | |
|---|---|
| 1. აგრო ეკოლოგია, მცენარეთა დაცვა | 9.ისტორია |
| 2. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა | 10. ბიოლოგია |
| 3. ბიზნესის ადმინისტრირება | 11. ბიოორგანული ქიმია |
| 4. ეკონომიკა | 12. გეომეტრია-ტოპოლოგია |
| 5. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი | 13.თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები |
| 6. ლინგვისტიკა | 14.ფიზიკა |
| 7. ლიტერატურათმცოდნეობა | 15. განათლება |
| 8.არქეოლოგია | |

| 4. რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| 1 | მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; | |
| 2 | პირადობის მოწმობის ასლი; | |
| 3 | 2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ–დისკზე; | |
| 4 | სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის). | |
| 5 | სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ ხელმძღვანელი | |
| 6 | უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); | |
| 7 | სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა; | |

ვადასტურებ სააპლიკაციო ფორმაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ........................................... ფაკულტეტის ................................. სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ გამოცდებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სახელი და გვარი (სრულად) ................................

ხელმოწერა ..................... თარიღი

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი **გურამ ჩაგანავა**